სამშობლო დიდის ქუქუშ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
18
ივლისი
№ 5 (10478)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## თუ გვინდა უკეთურობას მოვერიოთ

დრომ ისტორიული გამოცდის წინაშე დააყენა ჩვენი ხალხი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ათასგზის განაწამებ მიწა-წყალზე ისევ დაჰბერა თავისუფლების ქარმა. ქართველი კაცი წელში გაიმართა, საკუთარი შინაგანი ღირსების, ისტორიული ცინაობის განცდა გაუმძაფრდა. მაგრამ რეალობა მუდამ მკაცრია, არსებობის შეუვალ კანონებთან შეწონილ აზროვნებას და მოქმედებას ითხოვს, ყოველი ჩვენგანი, ვისაც შეუძლია ზვავივით წამოშლილ სიძნელეებსა და პრობლემებს თვალი გაუსწოროს, იმსჯვალება იმის შეგნებით, რომ გასაჭირში ჩავარდნილ მამულს შველა, ბოროტ ძალთაგან გამოხსნა უნდა, ეს შეგნება უნდა იქცეს ნებისმიერი ჩვენგანის აქტიური ქმედების იმპულსად მამულიშვილური შემართების მუხტად. ბოროტ ძალაში კი მხოლოდ დამპყრობლის ნება როდი იგულისხმება. უნდა ვძლიოთ სიხარბე და ცილისწამება, სიცრუე და ამპარტავნება. ათასნაირი უბედურების წყარო გამხდარა სიზარმაცე, მცონარობა, ღალატი და ორგულობა. მამულისადმი მსახურების შინაგან მოთხოვნას ცხოვრების წესად თუ კი ვაქცევთ, აღნიშნულ უკეთურობას ადვილად მოვერევით.

სწორედ ამ მოთხოვნათა დონეზე ცხოვრობენ და იღვწიან დღეს ქალაქისა და რაიონის ნაცადი შრომითი კოლექტივები. ათასნაირი დეფიციტი, რომ იტყვიან, თავის ბრჭყალებს აჩენს, მაგრამ მშრომელთა მონდომებას, დარაზმულობის სურვილს, ჭირთათმენის შეგნებას მაინც თავისი გააქვს. ოდიშში, კახათში, ახალაბასთუმანში, ზედაეწერში, ახალსოფელში, ინგირში და სხვაგან კარგი ტემპით მიმდინარეობს საზაფხულო სამუშაოები.

ამ რთულ ეტაპზე, როცა ქართველი ერის ისტორიაში მისი მომავალი ბედიღბლის განმსაზღვრელი მოსახვევი იკვეთება, ნებისმიერმა ქართველმა სამშობლოს ერთგულ ჭარისკაცად უნდა ჩათვალოს თავი. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ხელისუფლების ორგანოს მიერ იქნები გაგზავნილი სახალხო მეურნეობის რომელიმე უბანზე, თუ საკუთარი გულისა და უნარის კარნახით შეირჩევ სამოღვაწეო სარბიელს. პირადი საფიქრალსაზრუნავი ეროვნულ ინტერესებს უნდა შევუწონოთ. ერთ ფილოსოფოსს მოხდენილად აქვს ნათქვამი: დააჭაბნინე შენს ადამიანურ, მამულიშვილურ სულისკვეთებას არაჯანსაღი ინსტიქტები და ეზიარე შინაგან ჰარმონიას.

ცხოვრების შეუვალი კანონზომიერებაა: ადამიანს თან ახლავს შინაგანი მაძიებლური რეფლექსი—გაუნელებელი. სწრაფვა სიახლისაკენ. ამ თვისებას არასდროს არ დასდებია ისეთი ფასი, როგორიც ახლა. დაძაბულად, საგანგებო ინტენსივობით უნდა იმუშაოს ყოველი ქართველის გონებამ, რათა მისი სულიერი და მატერიალური ნაღვაწი ცივილიზებული ქვეყნების სტანდარტებს გაუტოლდეს. ისედაც ბევრი დრო გვაქვს დაკარგული. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ დავეუფლოთ საიმედო და უძლეველ იარაღს—პროფესიონალიზმს. უნდა მოვიახლოვოთ ისეთი რეალობა, როცა ქართველ კაცს, განურჩევლად ცენზისა და პროფესიისა, მხოლოდ თავისივე ნახელავი დაადებს ფასს, წარმოაჩენს საზოგადოების ღირსეულ წევრად.

მოდის დრო განწმენდის და განახლებისა. ერთიანი ძალისხმევით უნდა დავამკვიდროთ ისეთი ატმოსფერო, როცა ყალბი გრიმასების და ნიღბების ადგილს დაიკავებს გულწრფელი ურთიერთობა, უფრო დაწმენდილი ღირებულებათა შკალა, სულიერი თანხმობა და თანალმობა.

შევიყვაროთ ღმერთი და მამული, ვძლიოთ ურთიერთ ქიშპობა, შური და მისგან წარმომდგარი ყოველგვარი ბიწიერება. სწორედ ამ გზით განვიწმინდებით ცოდვებისაგან.

სულიერი აღორძინებიდან კი ქვეყნის ხსნაც დაიწყება.

### ეს დღეები სოფლად

## ამზადებენ ნედლეულს

ახალაბასთუმნელ მეჩაიეებს გადაწყვეტილი აქვთ წელს, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი უნდა შეიტანონ საქართველოს ეკონომიკის წინსვლის საქმეში დაამზადონ 1450 ტონა ჩაის ნედლეული.

17 ივლისისათვის მრეწველობას ჩაბარდა 600 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ წლიურად ნავარაუდევის 43 პროცენტი. მოკრეფილის 45 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

დღიური კრეფა აღემატება 14-15 ტონას.

მექანიზატორები ორ დღეში გავლენ პლანტაციებში მეორე გადაკრეფის მოსავლის ასაღებად.

დამთავრდა პლანტაციებში მეორე დოზა მინერალური სასუქების შეტანა.

მძიმე მემკვიდრეობამ დღეს იჩინა თავი სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. შრომას გადაჩვეული მეურნისათვის ძნელი შეიქნა ერთბაშად წამოჭრილი პრობლემების დაძლევა. არადა ხვალინდელ დღეს მყარი ეკონომიკა სჭირდება. ეროვნული საკითხების გადაჭრის გზაზე მთავარი და აუცილებელი დღეს ისაა, რომ ყველამ აკეთოს თავისი საქმე, შექმნას ეკონომიკა და ამით თქვას თავისი სიტყვა ამ დიდ საქმეში.

## დრო არ ითმენს

ინგირის კოლმეურნეობის მშრომელები მხარს უბამენ ყოველივე სიახლეს, არიან ცხოვრების, როგორც იტყვიან შუაგულში და სადღეისო საქმეს არასოდეს გადადებენ სახვალიოდ.

ჩაის კულტურა მომგებიანი უპირველესი კულტურაა სოფლის ეკონომიკისა. გვერიცხება 308 ჰექტარი მოსავლიანი პლანტაცია, სადაც მოსალოდნელმა მოსავალმა 2.840 ტონას უნდა მიაღწიოს. უნდა ვთქვათ სიმართლე: სრულფასოვნად მოვემზადეთ კი სეზონისათვის? პასუხი ერთია: მხოლოდ ნაწილობრივ. გვქონდა სადაო საკითხები ანაზღაურების ფორმების მიმართ, მაგრამ იგი ხალხის სასარგებლოდ გადაწყდა. დღეისათვის მეჩაიე მშრომელებმა 1300 ტონაზე მეტი ნედლეული ჩააბარეს მრეწველობას, ამით ის მინდა ვთქვა, რომ გავუთანაბრდით შარშანდელ დონეს. მიმდინარეობს მეორე გადაკრეფა. დღიურად გვაქვს საშუალება მრეწველობას მივაწოდოთ 45-50 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც მეტწილად ფაბრიკების გამტარიანობაზე არის დამოკიდებული.

პრეფექტურის განკარგულების განხილვამ ბიძგი მისცა მექანიზატორთა შრომას. უკლებლივ ყველა მექანიზატორი 15 ივლისიდან გავიდა პლანტაციებში, მათ განკარგულებაშია 153 ჰექტარი პლანტაცია. ჩაის პლანტაციები სასუქების მეორე დოზის შეტანის მოლოდინშია. გვაფერხებს ტექნიკის სათადარიგო ნაწილების დეფიციტიც.

ჩაის დარგში დღეს ბევრი საშური საქმეა, რომელთა დაძლევა სოფლის მშრომელთა ნომერ პირველი ამოცანაა.

**გ. არახამია,**

**ინგირის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი.**

## მიზანი: თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის შექმნა

ისტორიულმა სინამდვილემ და ბედის უკუღმართობამ საქართველო—დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის, უმდიდრესი ბუნებრივი, კულტურული, სულიერი, ისტორიული წარსულის მქონე ქვეყანა დაკნინების პირამდე მიიყვანა. საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ანტიდემოკრატიულობამ საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს უფლებები ფიქციად აქცია. ქართველ ერს აყრილი ჰქონდა უზენაესი უფლება ყოფილიყო თავისი ბედის გამგებელი, მიწის, წყლის, ჰაერის, ბუნებრივი სიმდიდრისა და საკუთარი მეურნეობის მესაკუთრე. დღეს კი ქართველი ერი დემოკრატიის გზაზე დგას.

მიმდინარე ეტაპზე საქართველოს სისხლხორცეულ საქმეს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის შექმნა წარმოადგენს. განვითარების ამგვარი საფუძველი, ეკონომიკის ორიენტაცია თავის თავში გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ევოლუციურ გზას. ამ გზაზე ჩვენ ვაღიარებთ თავისუფლების პრიმატს საზოგადოების განვითარების ყველა სფეროში, რაც უპირველესად ნიშნავს ადამიანის, პიროვნების თავისუფლებას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა უფლებების დაცვასა და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. იგი საზოგადოების განვითარებაში გამორიცხავს ყოველგვარ რევოლუციონიზმს, ტოტალიტარიზმს, კლასობრივ ანტაგონიზმს, რეაქციონიზმს, დიქტატურასა და ძალადობას. მისი საფუძველია თავისუფალი მეწარმეობა, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, კონკურენცია.

საქართველოს ეკონომიკის ჩამოყალიბების გზაზე უპირველესი ნაბიჯია ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება. დღეს საქართველო უდიდესი პოტენციური შესაძლებლობების ქვეყანაა, გამომდინარე მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან, კლიმატიდან, ბუნებრივი სიმდიდრეებიდან და ქართველი ერის გეხოფსიქიკური წყობიდან.

ეკონომიკური დამოუკიდებლობა ნიშნავს როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკურ-იურიდიული მეთოდებით საქართველოსათვის გარკვეული იმუნიტეტის შექმნას საერთო საკავშირო ეკონომიკური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, პირველი ნაბიჯების გადადგმას საკუთარი ეკონომიკური წყობილების საფუძვლების შესაქმნელად, ეროვნული სიმდიდრის ნაციონალიზაცია—პრივატიზაციას, ჩაურევლობას ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული პოლიტიკის გატარებაში, ფართო საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებს, ურთიერთხელსაყრელობაზე დამყარებულ მაღალი დონის ინტეგრაციას.

ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას უნდა მოვახდინოთ ეკონომიკური განვითარების და ურთიერთობების უმტკივნეულო შეგუება ჩვენს ბუნებასთან, ტრადიციებთან, კულტურასთან, ფსიქიკურ წყობასთან.

ყოველივე ზემოთქმულის ხორცშესხმასა და განხორციელებას შევძლებთ, თუ შევქმნით მძლავრ საფუძველს და უპირველესად ინტელექტუალურს.

ყველაზე მეტი სიმდიდრე დღეს არის ცოდნა, განათლებული ადამიანები, ჭეშმარიტი პროფესიონალები. ასეთი დონის კადრებით უზრუნველყოფისათვის კი აუცილებელია ეკონომიკური სწავლების ძირეული ცვლილებების განხორციელება. ამ მიზანს ემსახურებიან საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ზუგდიდის ორგანიზაციები.

**გ. ჯახია,**

**საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე.**

## იხილავენ პრეფექტურის განკარგულებას

# საკრებულოს სესიაზე

შამგონის საკრებულოს (გამგებელი თორნიკე წყარობიი), საგანგებო სესიაზე განხილულ იქნა ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურის განკარგულება ჩაის მოსავლის აღების მიმდინარეობის შესახებ.

სესიაზე მეჩაიეობაში შექმნილი მდგომარეობის —ჩამორჩენის დაძლევის გზებზე დიდხანს გაგრძელდა კამათი.

საკრებულოს წევრმა, კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა ტოლია ღურწკაიამ ვრცლად მოახსენა სესიას იმ საგანგაშო მდგომარეობაზე, რაც შექმნილია მეჩაიეობის დარგში. მან აღნიშნა, რომ კრეფის დაწყების დაგვიანებამ, ანაზღაურების ფორმების დადგენაზე გაუთავებელმა დავებმა გადასწია კრეფის აგროვადები და იგი კოლმეურნეობაში დაიწყო 14 მაისს, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მარტო ნედლეულის დამზადების რაოდენობაზე კი არა ხარისხზეც. ეს უკანასკნელი კი ძალზე დაბალია (პირველი ხარისხისაა მოკრეფილის მხოლოდ 39 პროცენტი) კოლმეურნეობაში.

2 ივლისის მდგომარეობით პლანტაციების საგრძნობ ნაწილში არ იყო დამთავრებული პირველი ვეგეტაციის ჩაის გადაკრეფა. ბევრ საწარმოო ბრიგადაში უგულებელყოფილია პლანტაციების მოვლა-დამუშავება, სუსტია შრომის ორგანიზაცია. ყოველ მოკრეფილ პირველი ხარისხის კილოგრამ ჩაის ფოთოლზე მკრეფავი იღებს 60 კაპიკს, ხოლო მეორე ხარისხზე 40 კაპიკს. წლის ბოლოს დამატებით კილოგრამ ხარისხოვან ჩაიზე გაიცემა 20 კაპიკი. მოსალოდნელი იყო, რომ ანაზღაურების ეს გაზრდილი ფორმა გამოიწვევდა მკრეფავთა დაინტერესებას, მაგრამ მოხდა კი პირიქით. დაგვიანდა კრეფა, გადაუხეშდა ბუჩქები და გაუარესდა ხარისხიც.

მთავარ აგრონომს მოჰყავს მაგალითები, თუ რა მდგომარეობაა ცალკეული ბრიგადების მიხედვით. აღნიშნა, რომ № 1 ბრიგადაში (ხელმძღვანელი ი. როსტობაია) ერიცხებათ 6 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, სადაც დაბალია შრომის ორგანიზაცია, პლანტაციების ნაწილი მოითხოვს გადაკრეფას და ეკალბარდისაგან გაწმენდას. ჩამორჩებიან ის ბრიგადებიც, რომლებსაც ხ. ღურწკაია, პ. ქირია, რ. შენგელია, მ. სორდია, ა. სორდია, დ. შარია ხელმძღვანელობენ. კრიტიკის ობიექტი გახდნენ ჩაის კრეფის საქმეში ჩამორჩენილი კომპლექსურ - მექანიზირებული ბრიგადის წევრები და განსაკუთრებით ის რგოლი, რომელსაც ქვარცხავა უძღვება.

სესიაზე სიტყვით გამოსულმა ბრიგადირებმა აღუთქვეს შეკრებილთ, რომ შემჭიდროებულ ვადებში უზრუნველყოფენ დღემდე არსებული ჩამორჩენის დაძლევას.

სესიამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. გამოიყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა არსებული მდგომარეობის შესწავლა და საქმიანი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

რამდენიმე დღეში კვლავ მოხსენდა სესიას გატარებულ ღონისძიებათა შესახებ. პლანტაციებში დაიწყო მეორე დოზა სასუქების შეტანა—ჩაკეთება, მიმდინარეობს დასარეველიანებელი პლანტაციების გაწმენდის სამუშაოები და სხვა.

სოფელში მოუგვარებელია მოსახლეობის პურით მომარაგების საკითხი. რაიონის პურკომბინატი რეგულარულად ვერ აწვდის შამგონელებს პურს, ირღვევა გრაფიკი. ხშირ შემთხვევაში მეჩაიეებს დილის 7 საათიდან 1 საათამდე პურის მოლოდინში ეკარგებათ ძვირფასი დრო, რაც უარყოფითად მოქმედებს შრომის ორგანიზაციაზე.

არის ხარვეზები სატრანსპორტო მომსახურების საქმეშიც. არარეგულარულად მოძრაობენ ავტობუსები.

ყველა საჭირბოროტო საკითხს დროული ჩარევა და გამოსწორება სჭირდება, არადა ერთმანეთზე გადაჯაჭვული პრობლემები საბოლოოდ ერთად იყრის თავს, და ძნელი ხდება მისი ერთბაშად მოგვარება.

დღეს შამგონაში ყველაზე მეტად საშურია პლანტაციების წესრიგში მოყვანა, სასუქების შეტანა—ჩაკეთება, შრომის ორგანიზაციის მოწესრიგება და რაც მთავარია, ხარისხზე ზრუნვა.

# ზუგდიდელო მწვანეებო, აქციებით საქმეს ვერ უშველით!

(ეს მიმდინარე წლის 6 ივლისის გაზეთ „ოდიშში" გამოქვეყნებული ზუგდიდელი მწვანეების ღიაწერილის პასუხი).

მიმდინარე წლის 6 ივლისის გაზეთ „ოდიშში" გამოქვეყნდა ზუგდიდის მწვანეების ღია წერილი, სადაც აღნიშნული იყო თუ როგორაა გაბინძურებული მდინარე ჩხოუში და მისი კალაპოტი.

ახალი არავისთვის არ უნდა იყოს, რომ მდინარე, რომელიც 5 კილომეტრის სიგრძეზე გაივლის ქალაქის ტერიტორიას გაბინძურებულია, რომ მისი ეკოლოგიური მდგომარეობა არის მეტად საგანგაშო და თუ რამდენიმე წლის წინ მდინარის წყალი ვარგოდა საბანაოდ, დღეს ამაზე საუბარიც კი ზედმეტია, რადგანაც მდინარის კალაპოტი ქცეულია უნებართვო ნაგავსაყრელად.

ღია წერილის ავტორებს ალბათ გამორჩათ, ანდა შეგნებულად არ სურთ გაიხსენონ თუ რამდენჯერ გამოვიდნენ რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესის ფურცლებზე ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის მუშაკები და ამხილეს წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციათა ის ხელმძღვანელები, აგრეთვე კერძო პირები, რომლებიც აბინძურებენ საერთოდ ბუნებას და კონკრეტულად მდინარე ჩხოუშს (ამასთანავე საჭიროა ყურადღებით გავეცნოთ გასული და მიმდინარე წლის გაზეთ „ოდიშში" გამოქვეყნებულ სტატიებს და წერილებს).

აბა, მდინარის რომელ სისუფთავეზე შეიძლება ლაპარაკი, მაშინ, როცა ზონაში არსებული 16 გამწმენდი ნაგებობიდან მოქმედებაშია მხოლოდ 3, ხოლო უმოქმედო ნაგებობების ღირებულება ერთ მილიონ მანეთს აღემატება, ყოველდღიურად ნახმარი წყალი კი დაახლოებით 100 ათას კუბურ მეტრს. საქალაქო კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების ეფექტიანობა, თუ გასულ წელს არ აღემატებოდა 30 პროცენტს, წელს საერთოდ უმოქმედოდაა, რის შედეგადაც გაუწმენდავი ფეკალური წყლები 5 სოფლის გავლით პირდაპირ უერთდება შავ ზღვას სოფელ ანაკლიაში.

მდინარე ჩხოუშის გაბინძურებაზე გასულ წელს ზუგდიდის წყალკანალიზაციის სამმართველოს წაეყენა ჯარიმა 82400 მანეთის, ხოლო ფაიფურის ქარხანას 8812 მანეთის ოდენობით. ამ ორგანიზაციებმა არა თუ გადაიხადეს ჯარიმები, არამედ კვლავ გააგრძელეს დარღვევები—(აღნიშნულ დარღვევაზე მასალები გადაიგზავნა პროკურატურაში)—რაზედაც მეტყველებს მიმდინარე წლის 12 აპრილს ორივე საწარმოში აღებული ანალიზები. მიყენებულმა ზარალმა წყალკანალიზაციის სამმართველოს მიერ უკვე შეადგინა 66 ათასი მანეთი, ხოლო ფაიფურის ქარხნის მიერ 4092 მანეთი, თუ მდგომარეობა არ გაუმჯობესდა და თანხები არ იქნება გადახდილი, იძულებული ვიქნებით მასალები გადავუგზავნოთ ეკოლოგიურ პროკურატურას.

მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ ქალაქის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისათვის თანხა საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ უნდა გამოყოს, რის შესახებ მას რამდენიმეჯერ ეთხოვა როგორც ჩვენს მიერ, ასევე ბუნების დაცვის ზემდგომი ორგანოების მიერ, მაგრამ ჯერჯერობით დახმარება არ ჩანს.

მდინარის აუზისა და მიმდებარე ტერიტორიის გაბინძურებას ხელს უწყობს ისიც, რომ ჩვენი ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 32 პროცენტს აქვს დადებული ხელშეკრულება ქალაქის საბინაო კომუნალური მეურნეობის კეთილმოწყობის კომბინატთან, დანარჩენი კი ნაგავს მდინარე ჩხოუშისა და კუჩხობონუს აუზში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ყრის.

რაც შეეხება მიმდინარე წლის 22 ივნისს გაზეთ „ოდიშის" ფურცლებზე მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაციის ტყისა და მდინარეთა დაცვის კომისიის თავმჯდომარის ბატონ ველოდი ფაცაციას წერილში „რეკავს განგაშის ზარი" გაშუქებულ საკითხებს, კომიტეტის მუშაკების მიერ აღნიშნული პრობლემები არაერთხელ იყო დასმული და გაშუქებული როგორც გასულ ასევე მიმდინარე წელს 2, 8, 14 მაისის, 4, 17 და 27 ივნისის გაზეთ „ოდიშის" ფურცლებზე (ავტორები გ. ხუბულავა, მ. ესართია, თ. თოდუა, რ. როგავა). ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ მაისის ბოლოს რედაქციას ჩაბარდა და რატომღაც დღემდე არ დაბეჭდილა ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის მეტყევე-ინჟინრის ნ. სამელიას წერილი „ტყე შეუნახე შვილებსა", რომელშიც მოყვანილია ტყის უკანონოდ ჭრისა და ამოძირკვის ფაქტები, (იმედია, რომ აწი მაინც დაიბეჭდება აღნიშნული წერილი), რომელზედაც მასალები გადაგზავნილია პროკურატურაში და შს საქალაქო განყოფილებაში და აღძრულია საქმე. აგრეთვე მოსახლეობის მიერ უკანონოდ ტყით დაფარული მიწის ნაკვეთების მითვისება და მისი ბარბაროსული განადგურება იმ მოტივით, რომ ეს „მიწა ჩემს წინაპრებს" ეკუთვნოდაო.

ხოლო, რაც ეხება ღია წერილში აღნიშნულ, ფაქტს, რომ „დღემდე არაფერი გვაცნობა იმის შესახებ თუ რის გაკეთებას ისახავენ ისინი ახლო მომავალში" გიპასუხებთ, ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტი არ არის ვალდებული ანგარიში ჩააბაროს მწვანეთა მოძრაობის საზოგადოებას, ხოლო თუ რას ვაკეთებთ და რა ღონისძიებები გვაქვს დასახული, ამაზე ჩვენ მოვახსენეთ ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურას და გარდა ამისა, ბატონო ზუგდიდის მწვანეებო! თქვენ არც კი დაინტერესებულხართ თუ რა გვიჭირს და რაში გვინდა თქვენი მხარში ამოდგომა.

ბოლოს მინდა ჩემი პასუხი ასე დავამთავრო: ყველამ ერთად ვაკეთოთ საერთო საქმე ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის, ხოლო აქციებით და პროტესტების სხვადასხვა ფორმებით დროს ნუ დავკარგავთ, უმჯობესია დავრაზმოთ მოსახლეობა და ჩვენვე გავასუფთაოთ ჩვენი ქალაქი, სოფელი. მდინარეები და რაც მთავარია, შავი ზღვის სანაპირო ზოლი.

მე მჯერა, რომ ყველა ზუგდიდელი გულთან ახლოს მიიტანს ამ გასაჭირს და დადებითად გადავწყვეტთ აღნიშნულ საკითხს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი ჩვენს კეთილშობილურ საქმეში.

პატივისცემით: ბუნების დაცვის ზუგდიდის ს-კომიტეტის თავმჯდომარე

გია ხუბულავა.

## წერილი ზუგდიდელებს

# მადლობა რაჭიდან

დიდად გაგვახარა თქვენმა ნობათმა, რომელიც ჩვენს სასოფლო საბჭოში შემავალმა მოსახლეობამ მიიღო.

სოფელ საკაოსაც დაატყო თავისი მსახვრალი კვალი ავადმოსაგონარმა მიწისძვრამ. სოფლად არსებული სახლებიდან 80 პროცენტზე მეტი დაზიანდა. გული მოუკვდება მნახველს დაქცეული სოფლის ხილვით, სადაც მოსახლეობა კარვებსა და ქოხებში აფარებს თავს.

ქართველი კაცი ყოველთვის იმედით ცოცხლობდა და ცოცხლობს კიდეც. რა გამოლევს კეთილი ნების ადამიანებს. იმ პერიოდში, როდესაც მოსახლეობა ისევ ბურანში იყო, რა ელონა, რა ეკეთებინა არ იცოდა, ზუსტად ამ დროს მივიღეთ თქვენგან გამოგზავნილი საჩუქრები.

სასიამოვნოა და სასიხარულოა, რომ საჩუქრებთან ერთად იყო ბავშვების წერილები, რამაც ცრემლები გვადინა. თქვენი გამოგზავნილი საჩუქრები მიიღო თითქმის ყველა ოჯახმა. განსაკუთრებით გაიხარეს ბავშვებმა.

ჩვენო ძვირფასო ზუგდიდელებო, გულითად მადლობას გიძღვნით თანადგომისა და ძმური დახმარებისათვის.

დაე კვლავ აღორძინებულიყოს მთიანი რაჭის ულამაზესი კუთხე და ბევრი კეთილი სტუმრისათვის გაეღოს კარი.

გფარავდეთ ღმერთი.

შურა გორდეზიანი,

ონი. სოფელ საკაოს სოფლის მოსახლეობის სახელით.

# ქუჩებს სახელი შეეცვალა

მშრომელთა წერილების განხილვის შემდეგ ზუგდიდის პრეფექტურამ გაითვალისწინა რა მათი ინტერესები, გადაწყვიტა:

ჟ. ზამსახურდიას ქუჩას უწოდოს არსაკიძის სახელი, ჯიძიას ქუჩას—პოეტ არჩილ ფირცხალავას სახელი, დიმიტროვის ქუჩას—მახტანგ მეძქმსის სახელი, ჟუკოვის ქუჩას—კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის სახელი, ჩაპაევის ქუჩას—მიხეილ მესხის სახელი, —კრუპსკაიას ქუჩას—მაია წუნეთელის სახელი, კუიბიშევის ქუჩას—ქართველი მოჭადრაკის ანდრია დადიანის სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საათების „პატარა სამეფოში"

ძნელი დასაჯერებელია ზუგდიდელმა არ იცოდეს ერთი პატარა სახელოსნოს შესახებ, რომელშიც განუწყვეტლივ წიკწიკებს საათი. ჩაუვლი მას და არ შეიძლება არ აღგეძრას კითხვა —რა დროა? და უნებლიედ თვალს გაადევნებ დარაბებს მიღმა ჩამოკიდებულ კედლის საათს, —ზუგდიდის „კურანტს" —რომლის „დრო" ყოველთვის საიმედოა.

სახელოსნოს „პატრონია" ერთი წყნარი, ხელებწაკაპიწებული, მშვიდი ხელოსანი აბიკო გულუა. საათებისადმი სიყვარული პატარაობიდანვე ჰქონია, სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ თავიდან თბილისის საიუველირო ქარხანაში დადგა შეგირდად, შემდეგ ოსტატის კვალიფიკაცია მიიღო და ქალაქს დაუბრუნდა, მაგრამ ყველაზე დიდი გამოცდილება მაინც მამამ გადასცა, მის გვერდით ჩამოყალიბდა ჭეშმარიტ ოსტატად.

ოსტატის მამას ალექსანდრეს არა მხოლოდ ქალაქში, მთელ საქართველოში კარგად იცნობდნენ მარჯვე ხელებისა და პატიოსნების გამო. „სიტყვის კაცი იყო,— ამბობს ოსტატი და ვგრძნობ ცოტაოდენ გულისტკივილი შეეპარა მის სიტყვებს,— ამას იმიტომ ვამბობ, „სიტყვისკაცობით" ჩვენი ცხოვრება მაინც დამაინც განებივრებული არ არის. მამაჩემი ოსტატი იყო და მის პიროვნებას ერთიორად ავსებდა სიტყვისა და საქმის ჰარმონია. ჩემთვისაც მთავარი კაცობაა". მართლაც, მამისგან გადაეცა პატიოსანი გზა შვილს, მისგან იწყება ხელოსნის საინტერესო პროფესია.

მას შემდეგ ორმოცდარვა წელია მოშართული საათივით მუშაობს თავადაც. „საათების ტიკ ტიკი მასვენებს, ვმშვიდდები მის ნამცეცა მექანიზმებთან შეხებისას. მათი ყოველი მოძრაობა ჩემი სუნთქვაა. საათის გარეშე ჩემი ცხოვრება სიცარიელეა", —გულწრფელად თქვა ბატონმა აბიკომ.

დიდი სიამოვნებაა, რომ არის ზუგდიდში კაცი, რომელსაც ვერ გამოაპარებ ვერც ერთ ცვლილებას ჩვენს ქალაქში. დროის მდინარება ხომ ყველაზე მეტად მას ესმის. წამებით „გვიზომავს" ცხოვრებას. ოსტატის გულისყურს არც ის გამოეპარა, უფრო მეტიც, ყველაზე მეტად ის აწუხებს, რომ „ძველებური" ნდობა და სიყვარული უკვე აღარ არის.. ადამიანები თავაზიანობით გამოირჩეოდნენ. „რაც ღირდა ქალაქის ინტელიგენტებთან შეხვედრა. ეს ხასწაული იყოო"—ამბობს წარსულის ლაბირინთებში გახვეული,— „რა სჯობდა როცა ერთად შეყრილ პედაგოგებს, ექიმებს და სხვა პროფესიის ადამიანებს მოჰკრავდი თვალს". სიამოვნებდა გამოცდილ მესაათეს მათი გახსენება. ქალაქის პირველი მესაათე [illegible] ნავაც მოიგონა, მამის უახლოესი მეგობრებიც, მათ შორის ოქრომჭედელი, ოსტატი ფილიპე ძაძამიძე. ჯანმირზაევი იდრისის გახსენებისას ჩაფიქრდა კიდეც. ზუგდიდში უცხოვრია, ისიც ხელოსანი ყოფილა. რამდენიმე წლის წინ მისი შვილი ასილდარი ჩამოსულა ქალაქში, რომელიც ამჟამად ექიმია. პირველი, რაც უთქვამს ჩამოსულს, ყოფილა: „გულუების მოდგმა მაინტერესებსო".

აბიკო გულუას სახით მე ოქროსხელება გულუების მოდგმას ვხედავდი, ძმა ჯონიც ხელოსანია, ოქრომჭედელი.

...„ვაკვირდებოდი „საათის პატარა სამეფოს" და ოსტატის კმაყოფილებით სავსე სახე მსიამოვნებდა, მაკვირვებდა მისი თითების მოხერხებული მოძრაობა. საინტერესო ის იყო, რომ „ბრძოლას" საათთან სხვადასხვა ინსტრუმენტებით ყოველთვის იგებდა.

ერთხელ ვიღაცას ხუმრობით უთქვამს: არ ვარგიხარ „საათების ექიმად", ხშირად არ „მისინჯავო", ესეა, ოსტატის ერთხელ ხელშენავლებ საათებს ძნელად თუ დასჭირდება „მკურნალობის" გაგრძელება.

...მენანებოდა „საათების იმ პატარა სამეფოსა" და მისი კეთილი მასპინძლის დატოვება. იქაური პატიოსანი შრომისა და სიკეთის სურნელება არ მასვენებდა. მსიამოვნებდა ოსტატის მიერ აწიკწიკებული საათების პატრონთა გაღიმებული სახეების მზერა.

წამოსვლის წინ ბატონმა აბიკომ ამაყად მითხრა: „ხალხს ვჭირდები, ხელოსანი ვარო". მართლაც, ოქროსხელება ოსტატი ხართ, იცოცხლეთ!

**რუსუდან მიქანაია,**
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი.

# კანონი კიდევ უფრო გამკაცრდა

მიმდინარე წლის 30 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოსცა კანონი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ავტოტრანსპორტის სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე მართვის უფლების 1-დან 3 წლამდე აკრძალვას. აღნიშნული აქტის ძალაში შესვლიდან დღემდე შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო რაიონული განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების თანამშრომლების მიერ გამოვლენილ იქნა 20-მდე სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე ავტომანქანის მართვის ფაქტი. მართალია, აღნიშნული სახის დარღვევები მინიმუმამდე შემცირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც აქვს ადგილი ტრანსპორტის მართვას სახელმწიფო ნომრის გარეშე.

მიმდინარე წლის 28 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ გამოიცა კანონი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 122-ე მუხლის თანახმად ითვალისწინებს: სატრანსპორტო საშუალებათა მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე, ან სხვისი, ან შენიღბული, ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნებით გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალებათა კონფისკაციას.

იგივე მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც მართავდა სხვისი საკუთრების სატრანსპორტო საშუალებას, გამოიწვევს დაჯარიმებას 5 ათასი მანეთიდან 10 ათას მანეთამდე.

შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო რაიონული განყოფილების სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია აფრთხილებს ყველა ორგანიზაციას და ინდივიდუალურ მფლობელს, ვისაც გააჩნია საკუთრებაში ავტომოტოტრანსპორტი, არ დაუშვან ავტოტრანსპორტის სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე მართვის შემთხვევები. სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების მიერ არცერთი ფაქტი არ დარჩება რეაგირების გარეშე.

**ფ. ქიფაია,**
შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო და რაიონული განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსი მილიციის მაიორი.

## ჩვენი წარსულის საგანძურიდან

1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს სხვა ღირსეულ მამულიშვილებთან ერთად ხელს აწერდა მწერალი და საზოგადო მოღვაწე გერონტი ქიქოძე. ამ პიროვნებას ქართულ კულტურაში თავისი გამორჩეული ადგილი აქვს. ის მაშინ სწავლობდა ევროპის ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში, როცა რუსეთი და საქართველოც რევოლუციურ ქარცეცხლში იყო გახვეული. გერონტი ქიქოძემ ამ საუკუნის ათიან წლებში, უზადო განათლებით გამდიდრებულმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო იმ ხანად ჩვენს მრავალნატანჯ ქვეყანაში გაჩაღებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პაექრობებში.

ნიშანდობლივია, რომ ეროვნულ პარლამენტში ახლაც ვხედავთ მწერლობის წარმომადგენლებს. ამ ფაქტით ქარწყლდება მითი იმის შესახებ, თითქოს ქართული ინტელიგენცია შორს იჭერდეს თავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან. ისინი დღესაც თავის სიტყვას ამბობენ დანაწევრებული, ნაგვემი და შელახული ქართული სულის აღორძინებისათვის.

მკითხველებს ვთავაზობთ მცირეოდენ ფრაგმენტს გ. ქიქოძის წერილიდან,— „განთიადიდან შუადღემდე", სადაც ასე ჰარმონიულად ერითმება ერთმანეთს გონება და ემოცია, ცეცხლოვანი პრობლემისტის ვნება და უნატიფესი შინაგანი არისტოკრატიზმი:

# ის იყო სულით დემოკრატი

„...დასავლეთ ევროპის კრიზისი, რასაკვირველია, მარტოოდენ ესთეტიკური ხასიათისა არ იყო. ეს იყო, უწინარეს ყოვლისა, მსოფლმხედველობის და ზნეობრივი იდეალების კრიზისი. ყველგან იგრძნობოდა მისწრაფება საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების განახლებისადმი. მხოლოდ არავინ იცოდა, როგორ უნდა მომხდარიყო ეს განახლება. ინტელიგენტურ წრეებში თავი იჩინა ევროპის ერთა ხოლიდარობის, ეგრეთწოდებული პანევროპის იდეამ. მაგრამ მას საფრანგეთში რევანშისტები, გერმანიაში პანგერმანისტები, ინგლისში ჯინგოისტები ებრძოდნენ. შერყეული იყო თვით პროგრესის, ძლევამოსილების, მეცნიერების კეთილისმყოფელობის რწმენა. პუბლიცისტები ხშირად პოზიტიური მეცნიერების კრიზისზე და გაკოტრებაზე ლაპარაკობდნენ, ამავე დროს მათ ევოლუციური თეორიის ზეგავლენით წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ [illegible] თანამედროვე საზოგადოების თავკომბალები ყოველმხრივ უფრო განვითარებული არსებანი იყვნენ, ვიდრე წარსული ეპოქების იხტიოზავრები.

მართებულად თუ უმართებულოდ, მე ვფიქრობდი, რომ დაკარგული დოგმატების სანაზღაუროდ აღმოვაჩინე ჩემი სამშობლოს აღორძინების იდეაში. მე არ ვახდენდი ქართველი ერის იდეალიზაციას. უკვე გამოსული ვიყავი იმ ასაკიდან, როდესაც შეყვარებულნი ნეტარი აღტაცებით შესცქერიან თავიანთი ტრფიალის საგანს. იმ ლაქებს, იმ მანკს, რომელნიც ქართველ ერს ჩაგვრისა და მონობის საუკუნეებმა დაუტოვეს, მეც ვხედავდი ჩემში. მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ძველი იბერიული და კოლხური ტომების ჩამომავლებს ჯანსაღი ფესვები ჰქონდათ და ბებერი მუხის ტოტებს, მრავალჯერ გასხეპილთ მტრების მიერ ახალი ნორჩი ყლორტების გამოღება შეეძლოთ".

## გახსენება

# იგი ქალაქს ამშვენებდა

ზუგდიდის საზოგადოებას სამი წლის წინ გამოაკლდა ავიაციის გადამდგარი გენერალ-მაიორი შალვა ნესტორის ძე ქირია. ცაიშელი ჭაბუკი ბავშვობიდან გაიტაცა ავიაციამ. დაამთავრა ორენბურგის საავიაციო სკოლა. მუშაობდა შორეულ აღმოსავლეთში. მეორე მსოფლიო ომმა აქ მყოფს მოუსწრო. პირველი დღეებიდანვე ჩაება მფრინავ-გამანადგურებელ საომარ-ოპერაციებში. რკინისებური ნებისყოფის გმირი მფრინავის მამაცობა ლეგენდად დადიოდა თანამებრძოლებში. 391 საბრძოლო გაფრენა, მტრის 31 თვითმფრინავის ჩამოგდება, პირადი თავდადება, იყო მისი ბიოგრაფიის ერთ-ერთი ფურცელი.

დადიოდა ჩვენს ქალაქში, უაღრესად პოპულარული, მისაბაძი პიროვნება, უძღვებოდა ერთ-ერთ ობიექტს, იყო ჩვენი ქალაქის საპატიო მოქალაქე და დიდბუნებოვანი.

ხსოვნა ჩვენგან წასულისა ცოცხლობს და იცოცხლებს ჩვენს გულებში.

**ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭო.**

# ჩაი სამკურნალოდ

ჩაის კომბინატ „ოდიშის" კოლექტივი სამეურნეო ანგარიშზეა. ამართლებს ახალი მეთოდით მუშაობა. წელს აქ 30 პროცენტით გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი. კიდევ უფრო ამაღლდა პასუხისმგებლობა საქმისადმი.

მოწინავეთა შორის არიან დამფასოებელი საამქროს მემანქანეები გ. კონჯარია, მ. მარჩენკო, თ. ქობალია, რ. კუპრეიშვილი და სხვები.

არის სიახლე. დაგეგმილია კომბინატმა გამოუშვას 500 ტონამდე სამკურნალო ჩაი.

# სენაჟი გეგმის ზევით

ნარაზენის კოლმეურნეობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცხოველეობისთვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. საკვებმომპოვებელთა ბრიგადის წევრებმა ნავარაუდევი 260 ტონის ნაცვლად 700 ტონა სენაჟი დაამზადეს. მოითიბა 120 ტონა ბალახი.

# ღია ბარათი ზაირა ქირიას!

ქალბატონო ზაირა!

თუ პრესის თავისუფლება მხოლოდ თქვენთვის არ არსებობს, მაშინ ჩვენი გაზეთის საშუალებით მოგმართავთ 1991 წლის 18 ივნისს გაზეთ „აბხაზია"—ში გამოქვეყნებული თქვენი წერილის «Из за-того что я абхазка "-ს გამო.

დასაბამიდან ქართველი ქირია აფხაზ რძლად მოევლინეთ ქართულ ოჯახს. თქვენი ოჯახური ცხოვრება, რა თქმა უნდა, ჩვენი საქმე არ არის, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობია, გულწრფელად გეტყვით დიდად არ გახარებია ჩვენს კოლექტივს ჩვენთან მუშაობის დაწყება რომ დააპირეთ თქვენი საეჭვო ავტორიტეტის გამო და არა იმიტომ, რომ აფხაზი იყავით.

ვაკანტური ადგილის გამოჩენის შემთხვევაში მსურველიცა და ღირსეულიც კოლექტივშივე იყო, მაგრამ თქვენ გავლენიან მფარველთა გამოყენებით და თავის „დაჩაგრულ აბხაზად" გამოცხადებით შეავიწროვეთ ყველა, ვისზედაც ხელი მიგიწვდებოდათ, გადალახეთ კანონისა და სამართლის ყოველგვარი ბარიერი და ხსენებული ვაკანტური ადგილის გამოჩენამდე რკინიგზის ზუგდიდის სადგურის მოლარე გახდით.

დაუმსახურებელი პრივილეგიების მიუხედავად არავინ გავიწროებდათ. თქვენ თვითონ მუდამ ძაბავდით ვითარებას კოლექტივში. ცხოვრობდით და მუშაობდით კოლექტივში ისე, როგორც გინდოდათ. პატივს არ სცემდით ჩვენს ენას, კულტურას, ისტორიას, ჩვენს სატკივარს. იყავით აგრესიულად განწყობილი ქართველი ერის მიმართ და რიცა აფხაზეთის 1989 წლის ივლისის მერე ამართლებდით აფხაზი სეპარატისტების დანაშაულს, კოლექტივის სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურეთ. საქართველო და ქართველები იმისათვის გინდოდათ, რომ სალაროში გემუშავათ, და როგორც კი თქვენს მრწამსს ნიღაბი აეხადა, სამუშაო ადგილის შენარჩუნების მიზნით ქართველი ეროვნების პასპორტი გაიკეთეთ.

თქვენს ამ მოქმედებას კოლექტივმა ასე უპასუხა: კოლექტივი კი მრავალეროვანია. არავისთვის უკადრებიათ მსგავსი რამ. თქვენ რაში დაგჭირდათ ეროვნების გამოცვლა. იყავით აფხაზი და იქონიეთ სამართლიანი მრწამსი. დილით დაჩაგრულ აფხაზად მოგაქვთ თავი, შუადღით პირწმინდად ქართული პასპორტის მფლობელი ხართ. ღმერთმა უწყის საღამოთი ვინ იქნებით.

რას იტყვით, ხომ გამართლდა ჩვენი პროგნოზები?

იყავით ჩვენს გვერდით ქამელეონივით და ელოდით თურმე ხელსაყრელ შემთხვევას, რომელმაც აღარ დააყოვნა. 7 ივნისს მრგვალი მაგიდის სახელით გამოგეცხადათ ვინმე შუბათ შუკვანი, აფხაზი ხართ და საქართველოში რატომ მუშაობთო. თუმცა მისი ეს გამოხტომა მისი და თქვენი მეუღლის მეგობრული პურ-მარილით დამთავრდა, მაგრამ თქვენ ასეთ „ილბლიან" შემთხვევას როგორ გაუშვებდით ხელიდან. 10 ივნისს აფრინეთ „თქვენს" გაზეთში ქართველი ერისადმი სიძულვილით გაჟღენთილი ცილისმწამებლური წერილი, რომელშიც ნათლად იკითხება ქართველი და აფხაზი ხალხის ისტორიული ძმობის გამთიშველთა ხელწერა.

კოლექტივმა, თქვენი წერილი კრებაზე რომ განიხილა, ქართველი ერის მტრად გვწოდა, მაგრამ ქრისტიანული შემწყნარებლობით პატივს [illegible] თუ იმ-ვე გაზეთის ფურცლებიდან კოლექტივსა და ქართველ ერს ბოდიშს მოუხდიდით ცილისწამებისათვის. თქვენ არამცთუ დანაშაული მოინანიეთ, პირიქით თავი გამომწვევად გეჭირათ და ბოლოს ისიც კი თქვით, რომ ხართ აფხაზი—არა ქირია, არამედ „კრია".

საკითხავია, ყოველივე ამის მერე რას უპირებთ იმ თქვენს ქართულ ოჯახს? თქვენს თვალსატულა გოგონებს გადაჯიშებას ჰპირდებით და „ემიგრაციიდან" მრავალტანჯული დაბრუნდებით „თქვენს აფხაზეთში" (თქვენი სიტყვებია) თუ იქნებით ჩვენს გვერდით ჩასაფრებული თქვენეული მოხერხებულობით ახალი ენერგიული დარტყმისათვის?

რკინიგზის ზუგდიდის სადგურის კოლექტივი.

(სულ 15 ხელმოწერა).

---

საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს ზედაეწერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ა ც ხ ა დ ე ბ ს

მოსწავლეთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. აგრონომიულ განყოფილებაზე:

უმცროსი აგრონომის სპეციალობით—არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში პირველ კურსზე სწავლების ვადით 3 წელი და 6 თვე.

2. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განყოფილებაზე:

ტექნიკოს მექანიკოსის სპეციალობით. რვაწლიანი სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში პირველ კურსზე სწავლების ვადით 3 წელი და 6 თვე.

3. საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებაზე — ბუღალტრის სპეციალობით. საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში მეორე კურსზე სწავლების ვადით 1 წელი და 9 თვე.

4. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ორგანიზაცია-ტექნოლოგიის განყოფილებაზე— ორგანიზატორ-ტექნოლოგის სპეციალობით. საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში მეორე კურსზე სწავლების ვადით 2 წელი და 6 თვე.

ცხრაკლასდამთავრებულები ტექნიკუმის დამთავრებით ღებულობენ ზოგად საშუალო განათლებას და დიპლომთან ერთად მიიღებენ მესამე კლასის ავტომძღოლისა და ტრაქტორისტის მოწმობებს.

ოთხოსნები და ხუთოსნები მიიღებენ სტიპენდიას 100-125 მანეთს.

ტექნიკუმში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან რესპუბლიკის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, მათ დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება ერთიანი ფორმის მიხედვით შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. მოწმობა ან ატესტატი განათლების შესახებ (დედანი), 2. სამედიცინო ცნობა ფორმა №086, გაცემული საექიმო პროფილაქტიკური დაწესებულებების მიერ საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად. 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან დამოწმებული წარმოება-დაწესებულებათა მიერ საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად. 4. სასწავლებლად მივლინებულთა მომართვა ერთიანი ფორმით (დანართი №3, №4) ეძლევათ საწარმოებიდან, მეურნეობებიდან, კოლმეურნეობებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან. 5. 4 ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ) ზომით 3X4, სასწავლებელში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს.

განცხადებები მიიღება 1 ივნისიდან 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება: 1. საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობაზე: მათემატიკა — ზეპირი, ქართული ენა-ლიტერატურა—თხზულება.

2. ორგანიზატორ-ტექნოლოგის სპეციალობაზე მათემატიკა—ზეპირი. ქართული ენა-ლიტერატურა—თხზულება.

შენიშვნა: აგრონომიულ და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობებზე (№1502, 1508) გავრცელდება ექსპერიმენტი და აბიტურიენტები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ (გასაუბრებით).

ტექნიკუმში ჩარიცხული ყველა სტუდენტი მიიღებს სტიპენდიას არა ნაკლები 100 მანეთისა.

მისამართი: ზუგდიდის რაიონი, ზედაეწერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. ტელეფონი 73-2-47.

დირექცია.

---

## გამოსათხოვარი

ძნელად თუ მოიძებნება ჩვენი თანაქალაქელი, რომელსაც შეხების წერტილი არა ჰქონია კინოთეატრ „საქართველოსთან", სადაც ბავშვობიდან კინოთეატრს მიკედლებულმა ობოლმა ბიჭმა აბიკო (ბორისი) ნიკოლოზის ძე კოზლოვსკიმ ორმოცდახუთი წელი იმუშავა უფროს კონტროლიორად. დაიბადა 1927 წელს. მიიღო რვა კლასიანი განათლება. ომის წლებში არასრულწლოვანი მუშაობდა საავიაციო ქარხანაში. 1947 წლიდან კი იყო პირველი მასპინძელი კინოთეატრში მისული მაყურებლისა.

დასანანია, რომ კინოთეატრ „საქართველოს" კარებთან კვლავ ველარ შევხვდებით ამ ღიმილიან კაცს, რომელსაც გულწრფელად უყვარდა ყველა თაობის ზუგდიდელი.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

ზუგდიდის კინოვიდეოქსელის მუშაკები.

რედაქტორი

ბა. ჭანტურია.

---

მეუღლე ნუნუ, შვილები: სოსო, სოფიკო, ლია, დედა ქუქა, მამა ლეონტი, დები: ლეილა, ნაირა. ძმები: დემური, ჯემალი, ამირანი, რძლები: ზოია ჯაიანი, მერი ნარსია, ნონა ჯიქია, სიძეები: კაკო გაბისონია, რუშენი ფიტელავა, სიდედრი ალინა, სიმამრი კარლო ხასია. ცოლისდა დალი. ცოლისძმები: ლუდვიკი, გიგლა, დისშვილები ბაჩუკი, ბელა. ირინა ფიტელავები, რამაზი, ზაზა გაბისონიები, ძმისშვილები: ბესიკი, ვიკა, მარიკა, ირაკლი, გოჩა, გიორგი. მამიდაშვილები. დეიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**კაკო (გიდო) ლეონტის ძე ჯღარკავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19, 20 ივლისს. დაკრძალვა 21 ივლისს ს. დიდინეძში.

დედა შურა, მამა ხუტა, და ლუარა, მამიდა მოკონა. ბიძები: ვალიკო, გუძუბა, ალიკა. მამია მესხიები, ჟორჟი კონჯარია, ვარდინ ცხადაია. დეიდები: ვენერა, ლამარა, ბუქლუ. ბიცოლები: ქეთო, ზინა, ნანი, დინარა, ბიძაშვილები. მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**თამაზ ხუტას ძე მესხიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18. 19, 20 ივლისს. დაკრძალვა 21 ივლისს. გამოსვენება 18 საათზე, ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 24.

კინოვიდეოქსელის თანამშრომლები იუწყებიან

**აბიკო (ბორის) ნიკოლოზის ძე კოზლოვსკის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დედა ოლია. მეუღლე ნორა, შვილები ახმედი. ჯანსული, ძმა გურამი, და ლამარა, რძლები: ლეილა, ნინა, მარინა, მანანა. სიძეები: გუგუტა მორგოშია, ზური გოგუა, შვილიშვილები: ფატი, მაკა. ვინარი, რომეო, მაია, ირინა, მანუჩარი. ბიძა ლუდუკი, დეიდები ჟუნა, შუშანიკა. მამიდა ნადია, ძმისშვილები: გია, მირანდა, გიგლა, დისშვილები: როზა, ლუიზა, ხვიჩა. გოჩა მორგოშიები, ცოლისძმები: ამირან გოგუა, ომარი კაკელია. მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**გულიკო ფუხუს ძე შელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20 ივლისს. დაკრძალვა 21 ივლისს სოფელ ჯიხაშკარში.

შვილები: ეთერი, მიმოზა. ფლორა, ჯანიკო. რძლები: ნუნუ ფანცხავა, იზა, გოგოლი, რუსიკო თურმანიძე. დისშვილები: დოდო. კარლო კაკულიები. სიძეები: კოტე ჯვარშეიშვილი, ანზორ შერვაშიძე, ჯემალ კარტოზია, ლაშა სამარგულიანი, შვილიშვილები მარინა ჯვარშეიშვილი, თენგიზ ხარლამპიდი, გოჩა შერვაშიძე, ვარლამ, ირაკლი გრიგოლიები. მაზლიშვილები ნოდარი. ნელი, გურამი. ლილი, ლამარა, მერი, ლადო გრიგოლიები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**დომნიკა (კიკა) პეხუს ასულ ქვარცხავა-გრიგოლიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 ივლისს. დაკრძალვა 20 ივლისს 5 საათზე ს. ანაკლიაში.

მეუღლე კატია, შვილები: გენადი. იურა, ძმები: შიში. ვაჟა, ხუტა ლვინჯილიები, დები: მოკონა, ნელი. რძლები: ზოია, ლამარა, ინეზა. ძმისშვილები: ლოთია. მერაბი, მურმანი ოთარი, ილო. გენდრი. ბეჟანა, ზაზა. ემა, აზა ლვინჯილიები, დისშვილები: გოჩა, ბელა, სიძე იგორ ბოკუჩავა, ცოლისძმა ვალოდია. ცოლისდები: ლუბა, ლიდა, ცოლისძმისშვილები: გურამი, ლუდა ესართიები. ბიცოლები: ტატიანა, შურა, დეიდა თამაშა, ბიძაშვილები. მამიდაშვილები, დეიდაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვალიკო ბოჩოს ძე ლვინჯილიას**

გარდაცვალებას პანაშვიდი 18. 19, 20 ივლისს. დაკრძალვა 21 ივლისს სოფ. ახალაბასთუმანში.

მეუღლე ლუსია, შვილები: ლარისა, ლამზირა, თენგიზი, თემური. დები: ვენერა და ვარვალა ქარჩავები, ძმა დამიანე, შვილიშვილები: ეკა, რომანი, რატი. რიტა, სიძეები როლანდი ხასია, რევაზი ფიფია, ჟორჟი კუტალია და ჟორჟი ნადარაია, რძლები ქეთინო ხარამიშვილი, ჟუნა უბილავა, ლეილა დარასელია. თინა აბშილავა. ნანული ახალაია. როზა როგავა, ფლორა ნარმანია, სიდედრი ვალია ჭანტურია. ცოლისდები: ეთერი. კლარა, ცოლისძმები: რეზო. ელვარდი. სოსო წურწუმიები, ქვისლები: არველოდი შელანია, უშანგი ოყუჯავა, ჯემალ ქადარია, ბიძაშვილები: თინა. ალიკო, მეგონა, რუბენი, დილარი, ომარი ქარჩავები. ძმისშვილები, დისშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ორდენი ელიზბარის ძე ქარჩავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20 ივლისს. დაკრძალვა 21 ივლისს სოფ. ინგირში, გამოსვენება ბარათაშვილის ქუჩა 67.

შვილები: ჟურა, ლაურა, როლანდი. თინიკო ჯანჯარიები, და ნათელა, რძალი როზა, შვილიშვილები ფატიმა. თეა. დათო, ჯემალი, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ძაბა (მარგალიტა) ქანთარია-ჯანჯარიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19. 20 ივლისს. დაკრძალვა 21 ივლისს ზემო კახათში.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80 რედაქტორის მოადგილის 2 33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2-21-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2-25-1[illegible] ლოთრედაქციის 2 1. 09.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-28-07, ტირაჟი 6000 შეკ. №2948